სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 12

2018 წ. "26" 09

ქ.თბილისი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 19 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის №018/01/2559 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1173993) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №51 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების 1 წლის ვადით შეზღუდვისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3500-ის ნაცვლად 2500-ით განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის №1173993 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი